

ნინო მაისურაძე •

1921 წლის თებერვლის, როგორც განთავისუფლების თარიღის კონსტრუირება და ქართული ეროვნული თვითცნობიერების ბრძოლისა და შეგუების ეტაპები

*„იდეოლოგიები მიმართავენ ისტორიას
და მათ ხელში წარსული წინასწარმეტყველებად იქცევა“
მარგარეტ მაკმილანი*

საკვლევი თემა მოიცავს საქართველოს გასაბჭოების თარიღის, 1921 წლის 25 თებერვალის, ირგვლივ შექმნილი ნარატივების ანალიზს, ფოკუსირდება წარსულის გასაბჭოების ფენომენის კვლევაზე და ამ თარიღის შემდეგ გამოხატულ ქართული ეროვნული იდენტობის მახასიათებლებზე.

ონტოლოგიურად საზოგადოება სხვა არაფერია, თუ არა ცვლილება, მოძრაობა და ტრანსფორმაცია. ეს არის კონსტრუირების და რეკონსტრუირების მუდმივი პროცესი და არა სტაბილურად ყოფნა. იმის თქმა, რომ სოციალური ცვლილებები იწვევს ტრავმას საკითხის წარმოდგენელი გამარტივებაა. სწორი კითხვაა: რომელი ტიპის ცვლილებები იწვევს ტრავმას, როცა კოლექტიურ ცნობიერებაზე ვსაუბრობთ? რამდენიმე კატეგორიად შეგვიძლია დავყოთ ეს ტიპები, თუმცა ერთ-ერთი აუცილებლად იქნება - უცხოელის მიერ დაპყრობა და ძველი პოლიტიკური რეჟიმის ნგრევა. უფრო რომ დავაკონკრეტოთ, კულტურული ტრავმის გამომწვევი შეიძლება იყოს ფუნდამენტური ცვლილება ინსტიტუტების ან რეჟიმების, რადგან ასეთი პოლიტიკური ცვლილება გულისხმობს კულტურულ ადაპტაციას და შესაბამისად ახალი კულტურული მახასიათებლების ჩამოყალიბებას. კულტურული იმპერატივები უნდა მოერგოს ახალ პოლიტიკურ გარემოს. ამის გარდა, შეგვიძლია ტრავმული გამოც-

• ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

დილების წყაროდ განვიხილოთ რწმენა-წარმოდგენების, მოძღვრების და იდეოლოგიის ცვლილება (The Trauma of Social Change; A Case of Postcommunist Societies, 2004). საქართველოს მაგალითზე, თუ თანამედროვეობაში 1921 წლის თებერვლის მოვლენას ვუწოდებთ ოკუპაციას, საბჭოთა რეჟიმი იგივე მოვლენას უწოდებდა გათავისუფლებას პირველი რესპუბლიკის გამოცდილებისგან, 1918-1921 წლების პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრეობის წაშლის მცდელობით. ამ პროცესს შეგვიძლია ვუწოდოთ საბჭოური იდენტობის შექმნის ტიპური გამოხატულება, თუ როგორ იქმნებოდა საბჭოური ნარატივი იმის შესახებ, რომ 1921 წლის ოკუპაცია იყო რევოლუციური გამოხსნა და არა იმპერიული დაპყრობა. კვლევა ფართო ჭრილში უნდა განვიხილოთ, რომელიც მოიცავს ნაციონალიზმს, მახსოვრობის პოლიტიკას და ისტორიულ რევიზიონიზმს. კვლევა ანალიზებს, როგორც ოკუპაციის პირველ წლებში ქართველი საზოგადოების მიერ გამოთქმულ-გამოხატულ პროტესტისა და ბრძოლის ფორმებს, ისე ერის შეგუების ეტაპზე გადასვლას, რასაც ლოგიკურად მოჰყვა „დუმილის“ ეტაპიც.

საკვლევი თემის **აქტუალობა** გამომდინარეობს თავად შესასწავლი ფენომენის მრავალმხრივობიდან, რადგან ეროვნული თვითცნობიერების გამოღვიძების, თუ პირიქით, შესუსტების ფენომენი არ არის სწორხაზოვნად განვითარებული მოვლენა, რომლის სავარაუდო შედეგების გენერალიზაცია შესაძლებელი და მოსახერხებელია. ეროვნული თვითცნობიერების კვლევის დროს მეტად უნდა ვფოკუსირდეთ შემთხვევის ანალიზზე, რადგან ერთნაირ პოლიტიკურ და სოციალურ გარემოში ერები განსხვავებულად რეაგირებენ. ერნესტ გელნერის თეორიას თუ შევხებით ვნახავთ, რომ ავტორი ნაციონალიზმის პრინციპის დარღვევად თვლის შემთხვევას, რომელიც ერის ბრახს და გაღიზიანებას იწვევს, როდესაც მმართველი/ები მოქალაქეების უმრავლესობისგან განსხვავებულ ერს ეკუთვნიან. ეს მომენტი მნიშვნელოვანია, რადგან ერნესტ გელნერის მოსაზრებით, ნაციონალიზმის პრინციპი ირღვევა, თუ მმართველი უმცირესობა ეთნიკური წარმოშობით განსხვავდება მართულ უმ-

რაველესობაზე და ამ პრინციპის დარღვევის შედეგად წარმოიშვება მართულ უმრავლესობაში ბრაზი და აგრესია (Gellner, 1983). გელნერის თეორიის თანახმად, ქართველ ერში დაპყრობის შემდეგ გამოხატული ბრაზი უნდა გარდაქმნილიყო ნაციონალურ მოძრაობად. შესაბამისად, ქართველი ერის შემთხვევა საყურადღებო და აქტუალურია იმ კუთხითაც, რომ ნაკლებად ამართლებს ამ წამყვანი მოდერნისტული თეორიის ერთ-ერთ მთავარ ჰიპოთეზას.

კვლევის სიახლე: შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ასპექტი, რომელსაც თემის ირგვლივ ახალი დისკუსი შემოაქვს. 1) საკვლევი თემა ხშირად განხილულია მეხსიერების პოლიტიკის კრილში, თუმცა კვლევას ექნება მეტად ჰიბრიდული ხასიათი და არის იდენტობის პოლიტიკის, ნაციონალიზმის თეორიების, მეხსიერების პოლიტიკის და ისტორიის გზაგასაყარზე; 2) კვლევაში ადაპტირებული იქნება ნაციონალიზმის რამდენიმე თანამედროვე თეორია, რომელიც ზოგად კრილში ახსნის და გაანალიზებს საქართველოს შემთხვევას, რაც თავის მხრივ ახალი მიდგომაა საკითხისადმი;

კვლევა ორიენტირებულია ისტორიული მანიპულაციების თვალსაზრისით ქართველი ერის კოლექტიური მეხსიერების ხელახალი ფორმირების შესწავლაზე და შესაბამისად, კვლევის მიზანია: იმ მომენტალური პასუხების და რეაქციების ანალიზი, რომელიც ქართველ ერს ჰქონდა ოკუპაციის წინააღმდეგ.

მეთოდოლოგია: 1) კვლევის შინაარსიდან გამომდინარე გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი ისტორიული ანალიზის თვისებრივი მეთოდი, რაც მოიცავს საკვლევ თემაზე არსებული მეორეული წყაროების კვლევას; 2) კვლევაში გამოყენებულია დისკურსის ანალიზის მეთოდი იმ ენის, ტერმინებისა და რიტორიკის შესასწავლად, რომელიც გამოიყენეს საბჭოთა კონტროლის ნორმალიზებისა და ისტორიული მოვლენების რეინტერპრეტაციის პროცესში.

ტოტალიტარული რეჟიმი განსაზღვრავდა მეხსიერებას საბჭოთა ეპოქაში, რომელიც იცავდა და მიჰყვებოდა ერთ ფუნდამენტურ და ჰომოგენურ ნარატივს: საბჭოთა მომავალი ეროვნებათაშორ-

რის ჰარმონიული თანაცხოვრებაა. ამ ნარატივის მიხედვითვე, არარუსი ხალხი საბჭოთა კავშირს ნებაყოფლობით შეუერთდა. საქართველოს შემთხვევაში, 1921 წელს ოკუპაციის ტერმინის გამოყენება მიუღებელი იყო ბოლშევიკებისთვის, რადგან გასაბჭოება მოხდა ნებაყოფლობით, რევოლუციური ბოლშევიზმის მიზნების განხორციელებისთვის. შესაბამისად, ნებისმიერი წინააღმდეგობა (ვერბალური თუ ფიზიკური) გამოთქმული გასაბჭოების წინააღმდეგ ითვლებოდა დიადი მიზნების წინააღმდეგ წასვლად და რაც მთავარია არარუსი ხალხის ნების წინააღმდეგ მოქმედებად. ამ ნარატივის მიხედვით თავად ქართველებისვე სურვილით ხდება უცხო რეჟიმის შემოსვლა და შესაბამისად ეს დაპყრობა კი არა გათავისუფლებაა ძველი მმართველობისგან (Toria, 2014). შესაბამისად, ოკუპაცია მართლებოდა იდეოლოგიურად და ითვლებოდა დიადი მიზნების განსახორციელებელ აუცილებლობად. იდეოლოგიური მოტივით ახსნა პოლიტიკური და სამხედრო გადაწყვეტილებების ნათელი იყო ოკუპაციის შემდეგ საქართველოში რუსეთის ყოფილი XI არმიის საჯარისო შენაერთების დიდი ხნით საქართველოში დარჩენის მოტივების განმარტების დროსაც, რადგან ეს იწვევდა საზოგადოების ნაწილის პროტესტს, თუმცა ბოლშევიკების მხრიდან რუსეთის არმიის დარჩენა საქართველოში აიხსნა ქართველი პროლეტარიატის და გლეხობის ძალაუფლების შენარჩუნების გარანტიის მიცემით, რადგან საჯარისო შენაერთების საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენა ერთგვარ დახმარებად წარმოჩნდა საქართველოში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე (დაუშვილი, 2008).

საკითხი რელევანტურად რჩება დღესაც, რადგან ისტორიული მოვლენების, თარიღების, აქტორების მნიშვნელობის, პროცესების გადააზრებაში ვხვდებით პოლიტიკური აქტორების და მათ მიერ შექმნილი ნარატივების ფუნდამენტურ როლს. შესაბამისად ისტორიული შემთხვევის ანალიზი გვიჩვენებს იმ მახასიათებლებს, რომელიც ქართველმა საზოგადოებამ გამოიჩინა ისტორიის გასაბჭოების პროცესში. კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია პოლიტიკის

მეცნიერების მიმართულების, კონკრეტულად მეხსიერების პოლიტიკისა და იდენტობის პოლიტიკისთვის, ისევე როგორც ისტორიის ჰუმანიტარული დარგისთვის.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა საქართველო, ეროვნული თვით-ცნობიერება, ეროვნული იდენტობა, საქართველოს ოკუპაცია.

გამოყენებული ლიტერატურა

- Gellner, E. (1983). *Nations and Nationalism*. Oxford: Basil Blackwell.
- Sztompka, P. (2004). The Trauma of Social Change; A Case of Postcommunist Societies. In J. C. Sztompka, *Cultural Trauma and Collective Identity* (pp. 155-195). Berkeley • Los Angeles • London: UNIVERSITY OF CALIFORNIA PRESS.
- Toria, M. (2014). The Soviet occupation of Georgia in 1921 and the Russian–Georgian war of August 2008: Historical analogy as a memory project. 316-335. Routledge. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/332241087_The_Soviet_occupation_of_Georgia_in_1921_and_the_Russian-Georgian_war_of_August_2008_Historical_analogy_as_a_memory_project
- დაუშვილი, ა. (2008). რუსეთის კოლონიური ბატონობის შემობრუნება საქართველოში საბჭოურ-კომუნისტური ფორმით. In, *რუსული კოლონიალიზმი საქართველოში* (გვ. 373-449). თბილისი: უნივერსალი.

Nino Maisuradze

The Construction of February 1921 as a Date of "Liberation" and the Stages of Struggle and Reconciliation in Georgian National Identity

The research focuses on the analysis of narratives constructed around the date of Sovietization of Georgia—February 25, 1921. It explores the phenomenon of the Sovietization of the past and examines the features of Georgian national identity as they have been expressed after this historical turning point.

Ontologically, society is nothing but change, movement, and transformation. It is a constant process of construction and reconstruction, rather than a state of stability. To say that social change

causes trauma is an oversimplification. The more accurate question is: what types of change lead to trauma when we speak of collective consciousness? These types can be categorized in various ways, but one of them will undoubtedly include foreign conquest and the collapse of an old political regime. More specifically, cultural trauma can be triggered by fundamental changes in institutions or regimes, as such political transformations require cultural adaptation and the development of new cultural characteristics. Cultural imperatives must adjust to the new political environment. Furthermore, changes in belief systems, doctrines, and ideologies can also be considered sources of traumatic experience (*The Trauma of Social Change: A Case of Postcommunist Societies*, 2004). In the case of Georgia, if in the contemporary context the events of February 1921 are referred to as an occupation, the Soviet regime framed the same events as a liberation from the experience of the First Republic. This narrative aimed to erase the legacy of the First Democratic Republic of 1918–1921. Such an approach can be seen as a typical expression of the construction of Soviet identity—an illustration of how the Soviet narrative portrayed the 1921 occupation not as imperial conquest but as a revolutionary emancipation. This process must be examined within a broader framework that encompasses nationalism, the politics of memory, and historical revisionism. The research analyzes both the forms of protest and resistance expressed by Georgian society during the early years of occupation, as well as the subsequent shift toward a stage of national adaptation—eventually leading to a phase of “silence.”

The relevance of the research topic arises from the multidimensional nature of the phenomenon under study, as the awakening or, conversely, the weakening of national self-consciousness is not a linear process whose probable outcomes can be easily generalized. When studying national self-awareness, greater emphasis must be placed on case-specific analysis, as nations respond differently even within similar political and social environments. Referring to Ernest Gellner’s theory, we find that he considers nationalism’s principle violated in cases that provoke anger and resentment among a nation when the rulers

belong to an ethnic group different from the majority of the population. This aspect is important because, according to Gellner, the principle of nationalism is broken when the ruling minority differs ethnically from the ruled majority, which leads to anger and aggression within the governed majority (Gellner, 1983). According to Gellner's theory, the anger expressed by the Georgian nation after conquest should have transformed into a national movement. Consequently, the case of the Georgian nation is noteworthy and relevant also because it challenges one of the main hypotheses of this leading modernist theory.

Research Novelty: Several aspects can be highlighted that bring new discussion to the topic: 1) The research topic has often been examined within the framework of memory politics; however, this study will have a more hybrid character, situated at the crossroads of identity politics, theories of nationalism, memory politics, and history; 2) The study will adapt several contemporary theories of nationalism that provide a general explanation and analysis of the Georgian case, which in turn represents a new approach to the subject.

The research is focused on examining the reformation of the collective memory of the Georgian nation in terms of historical manipulations. Accordingly, the study aims to analyze the immediate responses and reactions of the Georgian people against the occupation.

Methodology: 1) Given the nature of the research, a qualitative research approach has been applied—specifically, qualitative historical analysis, which involves the study of existing secondary sources related to the topic; 2) The study also employs discourse analysis to examine the language, terminology, and rhetoric used in the process of normalizing Soviet control and reinterpreting historical events.

In the Soviet era, memory was shaped and controlled by the totalitarian regime, which followed and promoted a fundamental and homogeneous narrative: the Soviet future was envisioned as an interethnic, harmonious coexistence. According to this narrative, non-Russian peoples had voluntarily joined the Soviet Union. In the case of Georgia, the use of the term "occupation" to describe the events of 1921

was unacceptable to the Bolsheviks, as Sovietization was framed as a voluntary act in line with the goals of revolutionary Bolshevism. Consequently, any resistance—whether verbal or physical—against Sovietization was interpreted as opposition to a grand historical project and, more importantly, as an act against the will of non-Russian peoples. Within this narrative, the entry of a foreign regime into Georgia was presented as the will of the Georgian people themselves; therefore, it was not a conquest, but a liberation from the old order (Toria, 2014). Accordingly, the occupation was ideologically justified and presented as a necessary step toward fulfilling grand historical goals. The ideological framing of political and military decisions was also evident in the justification for the prolonged presence of units of Russia's former 11th Army in Georgia after the occupation. Although this presence provoked protests among parts of Georgian society, the Bolsheviks explained it as a guarantee for preserving the power of the Georgian proletariat and peasantry. The continued stationing of military units on Georgian territory was portrayed as a form of assistance on the path toward building a socialist society in Georgia (Daushvili, 2008).

The topic remains relevant today, as the reinterpretation of historical events, dates, actors, and processes continues to reveal the fundamental role of political actors and the narratives they construct. Accordingly, the analysis of this historical case sheds light on the characteristics displayed by Georgian society during the Sovietization of history. The research results are important for the field of political science, specifically memory politics and identity politics, as well as for the humanities field of history.

Keywords: Soviet Georgia, national self-consciousness, national identity, occupation of Georgia.